ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიას

და

კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმს“ შორის

2020 წ.

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი" - მისი თავმჯდომარის ალლა გამახარიას სახით (ორგანიზაციის წესდების საფუძველზე)-და ვანის მუნიციპალიტეტი - საკრებულოს თავმჯდომარის - ვალერი ბახტაძის, მუნიციპალიტეტის მერის - ლადო ჯურხაძის სახით (მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე) შემდგომში მოხსენიებულნი, როგორც მხარეები

- **აღიარებენ** რა სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის უდიდეს მნიშვნელობას - ქვეყანაში დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის, გენდერული თანასწორობის დამკვიდრებისა და საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) გეგმის განხორციელების პროცესში ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებებისა და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის შესაბამისად,

- **გაანალიზებენ** რა ერთიანი პოზიცია ადგილობრივი პრიორიტეტების განსაზღვრისას სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტის ჩართვის აუცილებლობაზე; ქალთა და სხვა სამოქალაქო ჯგუფების შესაბამის როლზე გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერის საქმეში; საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) გეგმის განხორციელების; ქალთა ეკონომიკური გაძლიერების; ოჯახში ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო ვალდებულებების შესრულებაში,

-**გამოხატავენ რა თავის დაინტერესებას** ადგილობრივი გენდერული თანასწორობის ეფექტური მექანიზმების საკითხით - ქალთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სოციალური დაცვის, ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრევენციის, ძალადობის მსხვერპლთა დახმარების, მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული ადგილობრივი პროგრამების დანერგვისათვის, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების, საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) გეგმის განხორციელებისთვის

შეთანხმების მიზანი

მუხლი1.

1.1 არასამთავრობო სექტორისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლება სამოქალაქო საზოგადოებაში დემოკრატიული პრინციპების განვითარებისა და გენდერული სამართლიანობის ხელშესაწყობად;

1.2 გენდერული თანასწორობის ადგილობრივი ინსტიუტუციური მექანიზმების გაძლიერება, საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) გეგმის ეფექტურობის ხელშეწყობა;

1.3 მუნიციპალიტეტში ქალთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის იგპ-თათვის სახელმწიფო მომსახურების დონის ამაღლება ცხოვრების ხარისხის თანამედროვე სტანდარტებისა და მათი უფლებების დაცვის კუთხით;

1.4.ინსტიტუციური და ორგანიზაციული მხადაჭერის ბაზის განტკიცება თვითმმართველობის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, არასამთავრობო ორგანიზაციების სეგმენტის განვითარებისათვის;

შეთანხმების საგანი

მუხლი2.

წინამდებარე მემორანდუმი განსაზღვრავს ურთიერთთანამშრომლობის ჩარჩო პირობებს, რომლის მიხედვითაც მხარეებმა უნდა იხელმძღვანელონ ქალთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთობლივი პროექტების ხელშეწყობისთვის; სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებების გამოვლენისა და მათი ინტერესების ადგილობრივ პროგრამებში სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის; სოციალური ინსტიტუტების თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის ინოვაციური სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობისა და დემოკრატიული პრინციპების მხარდასაჭერად და გენდერული სამართლიანობის მისაღწევად.

ერთობლივი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუხლი3.

შეთანხმების მხარეები გამოთქვამენ დაინტერესებას, განახორციელონ თანამშრომლობა შემდეგი მიმართულებით:

3.1. საერთო საინფორმაციო სივრცის შექმნა, ინფორმაციის და გამოცდილების გაცვლის სისტემის შემდგომი განვითარება ადგილობრივ ორგანოებსა და არასამთავრობო სექტორს შორის;

3.2. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ეფექტურობის მხარდაჭერისათვის საჭირო საქმიანობის ორგანიზება;

3.3. პარტნიორობის გაუმჯობესება ინოვაციური პროექტების რეალიზაციისათვის სხვადასხვა სფეროში(განსაკუთრებით ახალგაზრდების, ქალთა ჯგუფებისა და იგპ საზოგადოებისათვის);

3.4. წინადადებების, ერთობლივი პროექტებისა და მონაცემთა სხვა(მათ შორის გენდერული) ბაზების შექმნა;

3.5. სპეციალისტების მომზადება, ერთობლივი ღონისძიებების დანერგვა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის სოციალური სერვისების მიწოდებისთვის;

3.6. ქალთა სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის ფსიქო-სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

3.7. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობის ხარისხისა და როლის გაზრდა;

3.8. ადგილობრივ საზოგადოებაში ქალთა და სხვა სამოქალაქო ჯგუფების საჭიროებათა კვლევების ჩატარება და შედეგების ანალიზი;

3.9. კონკრეტული მიზანმიმართული ინიციატივებისა და საზოგადოებრივი კამპანიების ჩატარება ქალთა მხარდასაჭერად;

3.10. სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებში დასაქმებული პერსონალის ინსტიტუციონალური განვითარების ხელშემწყობა სასწავლო სემინარების, სტაჟირების სისტემის ერთობლივი ორგანიზაცია და განხორციელება;

3.11. თანამშრომლობა ადვოკატირებისა და ლობირების საკითხებში, აქტიური საზოგადოებრივი კამპანიების ჩატარებაში მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გარშემო, ერთობლივი მონაწილეობა ტელე-რადიო გადაცემებში;

3.12. ერთობლივ ღონისძიებებზე ინფორმაციის მომზადება და გავრცელება;

3.13.ერთობლივი მონაწილეობა ახალგაზრდული პროექტების ორგანიზებასა და რეალიზაციაში;

3.14. სხვადასხვა მიმართულებებით დაგეგმილ ღონისძიებებზე ინფორმაციის ორმხრივი გაცვლა;

3.15. პროფესიული გადამზადების პროგრამების ორგანიზება;

3.16. არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა სამოქალაქო ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე პრიორიტეტული სოციალური პროგრამებისა და პროექტების განსაზღვრაში.

3.16 საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) გეგმის განხორციელების ხელშეწყობა

მხარეთა პასუხისმგებლობები

მუხლი4.

4.1 თავის მხრივ, ფონდი «ხოხუმი» უზრუნველყოფს პროექტის საერთო მიზნებისა და ინტეგრაციის კომპონენტების მიღწევას შემდეგი აქტივობებით:

- **განათლება**-ტრენინგები, ვორკშოპები, საინფორმაციო შეხვედრები, მასტერ-კლასები, კონფერენციები, მეთოდური სახელმძღვანელოების გამოცემა.
- **კვლევა**-გამოკითხვა, ჩაღრმავებული ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფები, მონიტორინგი და ანალიზი.
- **ინფორმირება**-პერიოდული გამოცემები, სატელევიზიო და რადიო გადაცემები,სოციალური კლიპები და რადიორგოლები; ფილმები ქალების შესახებ; ფორუმ-თეატრი, ჟურნალების, ბროშურების, ბუკლეტების, მეთოდური სახელმძღვანელოების, კალენდრების, პოსტერების და ბლოკნოტების გამოშვება.
- **ადვოკატირება**-საინფორმაციო შეხვედრები, მრგვალი მაგიდები, საზოგადოებრივი დებატები, ღია წერილები, მიმართვები, საკანონმდებლო ინიციატივები, სამოქალაქო ფორუმები.
- **კონსულტაცია**-იურიდიული და ფსიქოლოგიური კონსულტაციები.
- **მონიტორინგი და ანალიზი** - პროგრამების, ბიუჯეტების მონიტორინგი, გენდერულ ჭრილში და საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) გეგმის განხორციელების მონიტორინგი

4.2.მეორე მხრივ, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია თანამშრომლობს ფონდ„სოხუმთან», ხელს უწყობს ზემოთ აღნიშნული აქტივობების განხორციელებას. ასევე იღებს ვალდებულებებს შემდეგზე:

- მონაწილეობის მიღება ფონდი„სოხუმის" მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში;
- ფონდი„სოხუმის" მიერ შემუშავებული ინიციატივების განხილვა და შესაძლებლობების ფარგლებში მათი მხარდაჭერა;
- ფონდი„სოხუმის" ჩართვა ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში (საინფორმაციო შეხვედრები, საკრებულოს სხდომები და ა.შ);
- ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის სათანადო ინფორმაციების მიწოდება და დახმარების გაწევა;
- საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) გეგმის განხორციელების მონიტორინგის ფარგლებში მხარდაჭერა

ერთობლივი საქმიანობის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება
მუხლი5.
კონკრეტული პროექტების რეალიზაციის საორგანიზაციო საკითხები განხილული და შეთანხმებული იქნება ცალკეული სამმხრივი ოქმების ფარგლებში.

მემორანდუმის პროცედურები
მუხლი6.
6.1.შეთანხმების მხარეები ნიშნავენ პასუხისმგებელ პირებს სამმხრივი თანამშრომლობის საკითხების კოორდინაციისა და სამუშაო გეგმის მომზადებისათვის;

6.2.წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეების შეთანხმების საფუძველზე;

6.3.წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შევა მისი ხელმოწერის მომენტიდან ხუთი წლის ვადით და ავტომატურად გაგრძელდება მომდევნო წლებში, თუკი ერთ-ერთი მხარე შესაბამისი ვადის დასრულებამდე ერთი თვით ადრე მეორე მხარეს არ შეატყობინებს თავის გადაწყვეტილებას წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

6.4.წინამდებარე შეთანხმების პირობების რომელიმე მხარის მიერ დარღვევის შემთხვევაში, ან პროექტის განხორციელებაში არსებითი ცვლილებებისას, შეთანხმების ნებისმიერი მხარეუფლე ბამოსილია, შეწყვიტოს ერთობლივ ინიციატივაში მონაწილეობა და გავიდეს შეთანხმებიდან, ერთითვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;

6.5.წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და დადასტურებულია ხელმოწერებით. ორივე ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

ხონის მუნიციპალიტეტის
მერი
..... ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
..... ვალერი ბახტაძე

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი
„სოხუმის"თავმჯდომარე
.....ალლა გამახარია

" " 22.01 2020 წელი

" " 22.01 2020 წელი